

## მოგების მაქსიმიზაციის ამოცანა ფარმოებული პროდუქციის ხარისხის პრიტერიზაციასა და სასიცოცხლო გადების გათვალისწინებით

თამარ ლომინაძე, შორქნა ოკუჯავა  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ბიზნეს-ორგანიზაციების მოგების მაქსიმიზაციის ამოცანა, პროდუქციის ხარისხის ეტაპობრივად გაუარესებით გამოწვეული ხარჯების მინიმიზაციასთან ერთად. ოპტიმიზაცია ხარისხის კრიტერიუმის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ისეთი ტიპის პროდუქციას აწარმოებენ, რომლებსაც ლიმიტირებული ვარგისიანობის ვადა გააჩნიათ. განხილულია 3 ტიპის პროდუქცია, მათი ხარისხისა და დროის ურთიერთ დამოკიდებულების მიხედვით, და ჩამოყალიბებულია მოგების მაქსიმიზაციის ამოცანის გადაჭრის ხერხი, რომელიც დაფუძნებულია ორიენტირებულ გრაფში უგრძესი გზის პოვნის აღგორითმზე.

**საკვანძო სიტყვები:** მოგების მაქსიმიზაცია, ხარისხის კრიტერიუმი, ორიენტირებული გრაფი, უგრძესი გზის აღგორითმი.

### 1. შესავალი

გლობალიზაციისა და სწრაფად მზარდი კონკურენტული გარემოს პირობებში, როდესაც ბაზარზე ყოველდღიურად ათობით აზალი ფირმა შემოდის, მეწარმეებისათვის უფრო და უფრო რთული ხდება მომზებიანი ბიზნესის წამოწყება და ბაზარზე პაზივიტის შენარჩუნება. არსებული მწვევე კონკურენციის გამკლავების მიზნით, საჭიროა წარმოების პროცესის მაქსიმალურად ეფექტურად მართვა და ასევე მომხმარებლისათვის უკეთესი და უფრო ხარისხიანი პროდუქციის შეთავაზება, პროდუქციის მაღალი ხარისხი ეს არის მოშემარებლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რასაც ის მის მიერ მომხმარებულ პროდუქციას უყენებს, ამიტომ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად მწარმოებლებმა წარმოების პროცესის ოპტიმიზაციაში აუცილებლად უნდა გათვალისწინონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელი.


ოპტიმიზაციის ამოცანა ხარისხის კრიტერიუმის გათვალისწინებით შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნას სხვადასხვაგარად. ამ შემთხვევაში განვიხილოთ ისეთი სიტუაცია, როდესაც მწარმოებელი ორგანიცაზის მიზანს მოგების მაქსიმიზაცია და ასევე პროდუქციის ხარისხის ეტაპობრივად გაუარესებით გამოწვეული ხარჯების მინიმიზაცია წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ამოცანის ამოხსნას ვახდებთ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ მწარმოებელი არ არის შეზღუდული საწარმოო სიმძლავრებში და შეუძლია ნებისმიერი რაოდენობის პროდუქციის წარმოება. ოპტიმიზაცია ხარისხის კრიტერიუმის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ისეთი ტიპის პროდუქციას აწარმოებენ, რომლებსაც ლიმიტირებული ვარგისიანობის ვადა გააჩნიათ და ამ ვადის ამოწურვის შემდეგ პროდუქტი ხდება უვარესი და საჭიროა მისი რეალიზაციიდან ამოღება. ასეთი ტიპის პროდუქციაზე მოთხოვნა მისი სასიცოცხლო პერიოდის მატებასთან ერთად, თანდათანობით იყლებს, რაღაც თუ არის არჩევანი, მომხმარებელი უპირატესობას ყოველთვის ანალოგიურ, მაგრამ უფრო აზალ პროდუქციას მიანიჭებს.

### 2. ძირითადი ნაწილი

ზოგადად, პროდუქციის ხარისხი მისი სასიცოცხლო ვადის უკუპროპორციულია და პროდუქტის გამოშვების მომენტიდან, დროის გასვლასთან ერთად უარესდება. თუმცა უფრო ზუსტი კავშირი ამ ორ პარამეტრს შორის დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის პროდუქტს განვიხილავთ. მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში პროდუქტის ხარისხი დროის გასვლასთან ერთად ნელ-ნელა იყლებს, ხოლო

ზოგიერთი პროდუქტის ხარისხი მისი ვარგისიანობის ვადის განმავლობაში არ იცვლება, თუმცა ამ ვადის ამოწურვისთანავე, მომენტალურად ხდება უხარისხო და შესაბამისად უვარგისი სარეალიზაციოდ. თავის მხრივ, ის პროდუქტები, რომელთა ხარისხი ნელ-ნელა უარესდება დროში,

შეიძლება დაჯგუფდეს შემდგნარად:



1. ხანმოკლე სასიცოცხლო ვადის მქონე პროდუქტები;

2. საშუალო სასიცოცხლო ვადის მქონე პროდუქტები;


3. ხანგრძლივი სასიცოცხლო ვადის მქონე პროდუქტები.

განვიხილოთ ოპტიმიზაციის ამოცანა თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტის ტიპის შემთხვევაში.

ხანმოკლე სასიცოცხლო ვადის მქონე პროდუქტების ვარგისიანობა სულ რამდენიმე დღეს გრძელდება და შესაბამისად, ასეთი ტიპის პროდუქტის ხარისხის გაუარესების კოეფიციენტი ყოველდღიურად, მნიშვნელოვნად მცირდება. გრაფიკულად ხარისხისა და დროის დამოკიდებულება ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე. სადაც  $q$  არის პროდუქტის ხარისხის გაუარესების კოეფიციენტი, ხოლო  $T$  – დრო.

### ნახ.1. $T=1,2,\dots,n$ ; $q=[1,0]$

საშუალო სასიცოცხლო ვადის მქონე პროდუქტების ვარგისიანობის ვადა, როგორც წესი, რამდენიმე თვიდან წლამდე გრძელდება. ასეთი ტიპის პროდუქტის ხარისხი დროთა განმავლობაში ნელ-ნელა ეტაპობრივად უარესდება, ხარისხის გაუარესება უფრო შესაბჩნევი ხდება პროდუქტის სასიცოცხლო ვადის ბოლო პერიოდში. ამ შემთხვევაში პროდუქტის ხარისხის მაჩვენებლისა და დროის გრაფიკული დამოკიდებულება ნაჩვენებია მე-2 ნახაზზე.





ნახ.2  $T=1,2,3,\dots,n$ ;  $q=[1,0]$

ხანგრძლივი სასიცოცხლო ვადის მქონე პროდუქტებს, კონკრეტული ლიმიტირებული ვარგისიანობის ვადა არ გააჩნიათ, მაგრამ მიუხდავად ამისა, მათი ხარისხი დროთა განმავლობაში უმნიშვნელოდ მაკრამ მაინც მცირდება, ამ ტიპის პროდუქტის მაგალითად შეიძლება დასახელდეს ნის მასალა, სხვადასხვა მეტალის ხელსაწყო-დანადგარები და ასე შემდეგ. მსგავსი პროდუქტები წლების მანძილზე შეიძლება იყოს ვარგისი სარეალიზაციოდ, თუმცა გარემო პირობებისა თუ სხვა ფაქტორების გავლენით მათი ხარისხი ზოგჯერ უფრო ნაკლებად ზოგჯერ უფრო მეტად, მაგრამ მაინც უარესდება. ამ ტიპის პროდუქტისათვის ხარისხისა და დროის გრაფიკულ ურთიერთდამოკიდებულებას ექნება მე-3 ნახაზზე მოცემული სახე.

გარდა ზემოთ განხილული პროდუქტის ტიპებისა, არსებობს ისეთი პროდუქტებიც, რომელთა ხარისხის მაჩვენებელი მათი სასიცოცხლი ვადის განმავლობაში თითქმის არ იცვლება, თუმცა ამ ვადის ამოწურვისთანავე პროდუქტი ხდება უვარგისი. ასეთი ტიპის პროდუქტის მაგალითად შეიძლება დასახელდეს სხვადასხვა მედიკამენტური საშუალებები, ქმიური ნივთიერებები, და ა.შ. ამ შემთხვევაში, ხარისხისა და დროის გრაფიკული დამოკიდებულება მოცემულია მე-4 ნახაზზე.

პროდუქტის ხარისხის კრიტერიუმით ოპტიმიზაციის ამობსნისას მაქსიმიზაციის ამოცანის გადაწყვეტაა საჭირო. ოპტიმიზაციას ვახდენთ მოგების მაქსიმიზაციის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს  $q$  ხარისხის გაუარესების კოეფიციენტი, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს პროდუქტის სარეალიზაციო ფასზე და ამგვარად აისახება საწარმოს მოგებაზე.


 ნახ.3.  $T=1, 2, 3, \dots, n$ ;  $q=[1, 0]$ 

 ნახ.4.  $T=1, 2, 3, \dots, n$ ;  $q=[1, 0]$ 

როგორც ვიცით, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა მის სრულ შემოსავალსა და სრულ დანახარჯებს შორის, რაც ფორმულის სახით შემდეგნაირად ჩაიწერება:  $\pi = \text{TRTC}$ , ხოლო სრული შემოსავალი ეს არ გაყიდული პროდუქტის რაოდენობისა და ერთეულის ფასის ნამრავლი. პროდუქტის ხარისხის გაუარესება დროში კი იწვევს მისი გასაყიდი ფასის შემცირებას და შესაბამისად მცირდება საწარმოს მოგებაც. ამიტომ მწარმოებელი ორგანიზაციის მიზანია, პროდუქტის გაუარესებული ხარისხის შედეგად შემცირებული სარეალიზაციო ფასისა და გაყიდვების რაოდენობის პირობებში, მოახდინოს მოსალოდნელი მოგების მაქსიმიზაცია.

ამგვარად, აღნიშნული ოპტიმიზაციის ამოცანა შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

მაქსიმიზირებულ იქნას

$$\pi = \sum_{i=1}^n (r_i q_i p_i - (C_i(x_i) - h_i(x_i)))$$

გამოსახულების მნიშვნელობა, როცა

$$y_i = \sum_{i=1}^{n_i} (x_i - r_i) \geq 0; \quad i=1, 2, \dots, n$$


$$r_i x_i, y_i \geq 0, \quad x_i \cdot y_i = 0$$

$$q_i = [1, 0] \quad i = 1, 2, \dots, n$$

სადაც,  $r_i$  არის პროდუქტიაზე არსებული მოთხოვნა დაგემვის ინტერვალში;  $q_i$  არის პროდუქტის ხარისხის გაუარესების კოეფიციენტი სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ინტერვალში;  $p$  არის პროდუქტის ერთეულის გასაყიდი ფასი;  $C_i(x_i)$  წარმოადგენს  $x_i$  პარტიის დანახარჯებს, ხოლო  $h_i(x_i)$  კი  $x_i$  პარტიის შენახვის ღირებულებას;  $x_i$  არის წარმოებული პროდუქტის პარტიის ზომა,  $y_i$  კი პროდუქტის მარაგი დაგეგმვის ინტერვალში.

ოპტიმიზაციის ამოცანის მიზანია შესაძლო მოგების მაქსიმიზაცია, პროდუქტის წარმოებისა და შენახვის ხარჯებისა და დროში პროდუქტის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებული დანაკარგების გათვალისწინებით.

ამოცანის ამოხსნის ალგორითმი დაფუძნებულია ორიენტირებულ გრაფში უდიდესი გზის ძიების ალგორითმზე. გრაფში შესაძლებელია უდიდესი გზის ძიების ალგორითმის გამოყენება, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს რამდენიმე ამონახსნი, მათ შორის ოპტიმალური, რომელთა შორის



ნახ.5

### **3. დასკვნა**

ამგვარად, ნაშრომში განვიხილეთ მოგების მაქსიმიზაციის ამოცნა, წარმოებული პროდუქტის ხარიხის გაუარესების კოეფიციენტის გათვალისწინებით. ამოცანის გადაჭრის ხერხად გამოყენებულია მათემატიკური მოდელი, კერძოდ კი ორიენტირებული გრაფი, სადაც უგრძესი გზის პოვნის ალგორითმის საშუალებით მოვახდეთ საწარმოს მოგების მაქსიმიზაციის პრობლემის გადაჭრას.

#### **ლიტერატურა:**

1. Ломинадзе Н. Н. Цулукидзе Т. В. Человекомашинные процедуры решения задач оптимизации при векторных показателях качества // Тезисы докладов XVIII республиканской конференции. Тбилиси, Май, 1972
2. Шикин, Чхартишвили Математические методы и модели в
3. William J. Stevenson Operations Management
4. Howard R. Matheson J. The Principles and Applications of Decision Analyses

## **THE PROBLEM OF MAXIMIZATION OF FIRM'S PROFIT TAKING INTO ACCOUNT QUALITY CRITERIA OF A PRODUCT**

Lominadze Tamar, Okujava Shorena

Georgian Technical University

#### **Summary**

In this work it is discussed the optimization of firm's profit, taking into account the quality criteria of a produced product. Such kind of optimization is very important for firms that are producing goods with limited shelf time. According to the relationship of products' quality and time, goods are divided into three main groups: 1. Products with short shelf life; 2. Products with middle length shelf life; 3. Products with long shelf life. Optimization with quality coefficient can be done by maximizing firm's profit. The problem of Maximizing firm's profit can be solved using graphical models. Finding the longest path in an oriented graph is the technique of solving the maximization problem.

## **ЗАДАЧА МАКСИМИЗАЦИИ ПРИБЫЛИ ФИРМЫ, УЧИТЫВАЯ КАЧЕСТВО ПРОИЗВЕДЕНИЙ ПРОДУКТОВ**

Ломинадзе Т., Окуджава Ш.

Грузинский Технический Университет

#### **Резюме**

Обсуждается процесс оптимизации прибыли фирмы, учитывая критерий качества данного продукта. Такого рода оптимизация очень важна для таких организаций, которые производят продукты быстрого потребления. Исходя из сроков годности качества продукта, продукты можно разделить на 3 главные группы: 1. Продукты с коротким периодом годности; 2. Продукты со средним периодом годности; 3. Продукты с длинным периодом годности. Задача максимизации прибыли фирмы с учетом качества продукта, решается путем нахождения маршрута наибольшей длины в орграфе.